



საჯარო  
სამსახურის  
ბიუროს

20  
22

წლის  
საქმიანობის  
ანგარიში

# საჩივრი

1. ადამიანური რესურსების მართვა	3
2. თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დაკლარაციების შევსებისა და მონიტორინგის პროცესი	14
3. გენდერი და მრავალფეროვანი სამუშაო ძალის დაგეგმვა საჯარო სამსახურში	16
4. საჯარო სამსახურის ბიუროს ინსტიტუციური გაძლიერება	18
5. საჯარო სამსახურის მედგომის უზრუნველყოფა პროფესიული უნარების სრულყოფის ინოვაციური მექანიზმების ინსტიტუციონალიზაციის ხელშეწყობით	19
6. საჯარო სამსახურის მოქნილობის ხელშეწყობა ლიდერობის გაძლიერებისა და ქცევითი ცვლილებების მხარდაჭერის გზით	21
7. საჯარო სამსახურის კვირეული	26
8. საერთაშორისო თანამშრომლობა	28
9. საკანონმდებლო ცვლილებები და სასამართლო პროცესები	30
2022 წლის სტატისტიკა საჯარო სამსახურში	32

# 1

## ადამიანური რესურსების მართვა\*

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, საჯარო დაწესებულებაში ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის უზრუნველყოფისათვის, საჯარო სამსახურის ბიურო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, აგრძელებს მუშაობას საჯარო სამსახურის სფეროში არსებული მდგომარეობის შესწავლისა და ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგის მიმართულებით.

**ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე – [www.hr.gov.ge](http://www.hr.gov.ge) – გამოცხადდა 6186 ვაკანსია, აქედან 3181 – ღია კონკურსი, 354 – დახურული, 625 – შიდა, 967 – გამარტივებული, 1021 – სტაჟირება და 38 – სხვა**

**მიღება საჯარო სამსახურში.** კონკურსის მონაწილე კანდიდატის უფლების დაცვისა და კონკურსის პირველ ეტაპზე კანდიდატის მიერ გაკეთებული განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმების მიზნით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიმართა 32-მა კანდიდატმა 34 ვაკანტურ პოზიციასთან დაკავშირებით. საკონკურსო პირობების და განაცხადის შესაბამისობის გადამოწმების შემდეგ, ბიუროს რეკომენდაციით, კონკურსის მომდევნო ეტაპზე დაშვებულ იქნა 2 კანდიდატი 2 ვაკანსიაზე.

**დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გადამოწმება.** საანგარიშო პერიოდში „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მოხელის თითოეული თანამდებობისთვის თანამდებობის სპეციფიკის და ამ თანამდებობისათვის დადგენილი სამუშაო აღწერილობის შინაარსის გათვალისწინებით, საჯარო სამსახურის ბიურომ განიხილა და შეითანხმა 638 საჯარო დაწესებულების 2641 პოზიციის დამატებითი საკვა-

\* ანგარიშში მონაცემები დამუშავებულია 2022 წლის 22 დეკემბრის მდგომარეობით.



ლიფიკაციო მოთხოვნები. ამასთანავე, 193 საჯარო დაწესებულებას ბიურომ რეკომენდაციის სახით გაუზიარა მოსაზრებები, წინადადებები და შენიშვნები მისი კომპეტენციის ფარგლებში.

**საკონკურსო კომისიის ოქმების ანალიზი.** „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო სამსახურის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვის მიზნით, საჯარო სამსახურის ბიურომ შეისწავლა საჯარო დაწესებულებებში მოხელეთა შესარჩევი კონკურსების მიმდინარეობის პროცესი. აღნიშნული მიზნით, ბიურომ მიმართა როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო დაწესებულებას, სასამართლო ორგანოს, ასევე, საჯარო სამართლის იურიდიული პირსა და საქვეუწყებო დაწესებულებას, ღია, დახურული და შიდა კონკურსის ფარგლებში, საკონკურსო კომისიის შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის მიზნით. შერჩევის პროცესთან დაკავშირებული მდგომარეობის კომპლექსურად აღქმის მიზნით, 2022 წლის მონაცემებით, ოქმები გამოთხოვილ იქნა იმ საჯარო დაწესებულებებიდან, რომელშიც მიმდინარე კონკურსის გასაუბრების ეტაპს, მონიტორინგის მიზნით, დაესწრო ბიუროს წარმომადგენელი. გამოთხოვილი ინფორმაციის შედეგად გაანალიზდა 25 საჯარო დაწესებულების მიერ გამოგზავნილი საკონკურსო დოკუმენტაცია. მიღებული დოკუმენტაციის განხილვისა და ანალიზის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც საჭიროებს დახვეწას „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონმდებლობის ერთგვაროვანი აღსრულების მიზნით:

### კომისიის შემადგენლობა

- ძირითადად დაცულია კონკურსის წესით განსაზღვრული შემადგენლობა; თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში ბუნდოვანია კომისიის დამოუკიდებელი, მონვეული სპეციალისტის ან სხვა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლის ვაკანტური თანამდებობის სპეციფიკასთან შესაბამისობის საკითხი;
- უმეტესწილად, კომისია შექმნილია მხოლოდ კონკრეტულ ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევის მიზნით, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, კომისიები იქნება კონკრეტული სტრუქტურული ერთეულის ფარგლებში არსებულ მოხელის ვაკანტურ თანამდებობებზე პირთა შერჩევის მიზნით.
- გაანალიზებულ შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში დაცულია კომისიის წევრთა კვოტა (მინიმუმ 3 წევრი), რაც განაპირობებს კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას.

### კანდიდატის შეფასება

- კანდიდატის შეფასებისთვის, ძირითადად განსაზღვრულია მხოლოდ ორი ან სამი ეტაპი. უმეტესწილად კანდიდატები ფასდებიან გასაუბრების გზით და ხშირად ზეპირი დავალების გამოყენებით. ხშირ შემთხვევაში არ არის დასაბუთებული თუ რატომ არ ფასდება კანდიდატი წერითი ან/და ზეპირი დავალების ეტაპების გამოყენებით.
- ზეპირი დავალების ეტაპი ძირითადად მოიცავს კანდიდატის საკონკურსო თემატიკის ცოდნის შეფასებას. ასეთ შემთხვევებში, ხშირად არ ახლავს კონკრეტული შეფასების ფორმა, კრიტერიუმები, მინიმალური და მაქსიმალური ქულები, რაც კიდევ უფრო გამჭვირვალეს



გახდიდა შეფასების პროცესს და გასაჩივრების შემთხვევაში, მიღებულ შედეგთან დაკავშირებით სრულყოფილ ინფორმაციას მიაწვდიდა კანდიდატს.

- საანგარიშო პერიოდში განხილულ არც ერთ ოქმში არ არის მითითებული ინფორმაცია კანდიდატის შეფასების ეტაპად წერიტი დავალების კომპონენტების გამოყენების თაობაზე.
- გასაუბრების ეტაპის ოქმებში, ხშირად მიუთითებენ ინფორმაციას კანდიდატის უნარ-ჩვევების შეფასებასთან დაკავშირებით, ხოლო კრიტერიუმები ან კომპონენტები უნარ-ჩვევების შეფასებისთვის, ძირითადად არ არის განსაზღვრული.
- ამასთან, ანალიზის ეტაპზე, გამოიკვეთა, რომ ძირითადად, გასაუბრება ტარდება არასტრუქტურირებულ ფორმატში და კონკრეტული შეკითხვები წინასწარ არ არის განსაზღვრული.
- განხილული ოქმების თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობაში, კანდიდატის მიმართ კომისიის მიერ გადამწყვეტილების მიღების ფორმად განსაზღვრულია კენჭისყრის მეთოდი და ნაკლებად არის გამოყენებული ქულათა სისტემა, რაც კიდევ უფრო ობიექტურს გახდიდა შერჩევის პროცესს.

**კანდიდატთან გასაუბრების მონიტორინგი.** საჯარო სამსახურის ბიურომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით განახორციელა საჯარო დაწესებულებებში კონკურსის დროს მიმდინარე გასაუბრების ეტაპის მონიტორინგი. ბიუროს წარმომადგენელი გასაუბრების ეტაპს აკვირდებოდა ელექტრონული რესურსების გამოყენებით. უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო დაწესებულებები წინა პერიოდთან შედარებით კარგად უწევენ ორგანიზებას დისტანციურ რეჟიმში მიმდინარე გასაუბრების ჩატარებას. თუმცა, ზოგიერთი დაწესებულების შემთხვევაში, კვლავ გამოწვევად რჩება ტექნიკური ასპექტები, რომელიც აფერხებს როგორც თავად გასაუბრების, ისე მონიტორინგის განხორციელების პროცესს (მაგ: ხმის, ვიდეო კამერის, ინტერნეტის, ელექტრო აქსესუარების გამართულობის პრობლემა).

საჯარო სამსახურის ბიუროს წარმომადგენელი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, დააკვირდა 15 სხვადასხვა საჯარო დაწესებულებაში, მოხელის ყველა რანგის თანამდებობაზე გამოცხადებული შიდა, დახურული და ღია კონკურსის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრების პროცესს. გასაუბრების მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას:

- ზოგიერთ შემთხვევაში, კომისია შექმნილი იყო არა კონკრეტული ვაკანტური პოზიციისთვის, არამედ – მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე ერთდროულად გამოცხადებული რამდენიმე კონკურსისთვის.
- კომისიების უმრავლესობაში დამოუკიდებელი, მონვეული სპეციალისტი არის ერთიდაიგივე პირი, რომელიც პოზიციის სპეციფიკის მიუხედავად, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ვაკანტური თანამდებობებისთვის შექმნილ საკონკურსო კომისიებში მონაწილეობს აღნიშნული სტატუსით. შემთხვევათა გარკვეულ ნაწილში, მონვეული სპეციალისტი განსაზღვრულია კომისიის შემადგენლობაში, თუმცა, ფაქტობრივად არ ესწრება გასაუბრების პროცესს.



- გასაუბრების პროცესს მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში ესწრება დაწესებულების გენდერზე პასუხისმგებელი პირი და პროფესიული კავშირის წარმომადგენელი.
- რამდენიმე შემთხვევაში დარღვეული იყო პროცედურული საკითხები, კანდიდატებისთვის გასაუბრების ჩანერის შესაძლებლობის შეთავაზებასთან, აცილების შესახებ ინფორმირებასთან და კომისიის შემადგენლობის წარდგენასთან დაკავშირებით.
- მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში იყო გამოყენებული ელექტრონული საშუალებები კომისიის წევრებისთვის. კანდიდატის რეზიუმე და შეფასების ფორმები, ძირითადად, წარმოდგენილი იყო მატერიალური სახით.
- იკვეთებოდა ტენდენცია გასაუბრების პროცესის მხოლოდ კომისიის თავმჯდომარის ჩართულობით წარმართვის კუთხით და შეიმჩნეოდა კომისიის დანარჩენ წევრთა, მათ შორის, ადამიანური რესურსების მართვის სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლის პასიური ჩართულობა კანდიდატის შეფასების პროცესში.
- კანდიდატთან ინტერვიუ, ძირითადად, მიმდინარეობდა არასტრუქტურირებულად. უმეტეს შემთხვევაში, წინასწარ არ იყო შემუშავებული სტრუქტურირებული კითხვარი, რაც ამცირებს კანდიდატის შეფასების პროცესში კომისიის წევრთა თანაბარ ჩართულობას, კანდიდატთან გასაუბრების დროის ეფექტიანად და თანაბრად მართვის შესაძლებლობას.
- ზეპირი დავალების ეტაპზე, ძირითადად, გამოყენებული იყო დახურული ტიპის შეკითხვები, რომელიც შეიძლება შედეგიანი იყოს ფაქტობრივი ცოდნის გამოვლენისთვის, თუმცა, ნაკლებად ეფექტიანს ხდის კანდიდატის შესაბამისი კომპეტენციების შეფასების ტრილში.
- რამდენიმე გასაუბრებისას ნაკლებად იყო გამოყენებული მოტივაციისა და პიროვნული მახასიათებლების შესაფასებელი წინასწარ განსაზღვრული ფორმები. კანდიდატთა შეფასების ფორმები და კრიტერიუმები ზოგიერთ შემთხვევაში განერილია ზოგადად, რაც ზრდის კომისიის წევრთა მხრიდან სუბიექტური ინტერპრეტაციების რისკებს.
- გადაწყვეტილებები კანდიდატთან დაკავშირებით, ძირითადად მიიღება ხმათა უმრავლესობით და კენჭისყრით, ქულათა სისტემა მხოლოდ იშვიათ შემთხვევაშია გათვალისწინებული, რაც ზრდის სუბიექტური შეფასებების რისკს.
- დაწესებულებების უმეტესობაში ახდენენ კანდიდატის ინფორმირებას გასაუბრების შედეგის შეტყობინების ვადებთან დაკავშირებით და კანდიდატს აძლევენ კომისიის წევრებისთვის სასურველი შეკითხვის დასმის შესაძლებლობას. ზოგიერთ დაწესებულებაში კანდიდატთან კომუნიკაციის აღნიშნული დეტალების გათვალისწინების მხრივ გამოწვევები ჯერ კიდევ არსებობს.

**გამარტივებული კონკურსის გარეშე გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების მონიტორინგი.** საანგარიშო პერიოდში საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გადამოწმდა სხვადასხვა საჯარო დაწესებულებაში გამარტივებული საჯარო კონკურსის გარეშე გაფორმებული 1389 შრომითი ხელშეკრულება. გაფორმებული ხელშეკრულებების დამუშავების შედეგად, გამოიკვეთა სხვადასხვა ტიპის ხარვეზები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა შემდეგ ასპექტებს:

- ხელშეკრულებების ნაწილში (5,0%), შესასრულებელი ფუნქციები არის ზოგადი ხასიათის, რის გამოც რთულდება დადგინდეს მათი დამხმარე ან არამუდმივი ხასიათი;



- ზოგიერთ ხელშეკრულებაში (4,9%) ასახული ფუნქციები შეესაბამება პროფესიული საჯარო მოხელის მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს და არ ატარებს დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შინაარსს;
- ნაწილი ხელშეკრულებით (1,2%) საერთოდ არ არის გათვალისწინებული შესასრულებელი ფუნქციები.

საანგარიშო პერიოდში გადამონმებული შრომითი ხელშეკრულებებიდან ცენტრალური ხელისუფლების დონეზე გაფორმებულია 583 ხელშეკრულება, რეგიონულ დონეზე – 588, სასამართლო სისტემაში – 41, პარლამენტის აპარატში – 76, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებებში – 60, ხოლო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებებში – 41 შრომითი ხელშეკრულება.

**სტაჟირების სახელმწიფო პროგრამა.** „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N410 დადგენილების შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის გაზაფხულის ნაკადზე გამოცხადდა 2256 ვაკანსია. გამოცხადებულ ვაკანსიებზე დარეგისტრირდა 147 სტაჟირების მსურველი, აქედან 13 კურსდამთავრებულისა და 134 სტუდენტის სტატუსით. 147 სტაჟიორიდან 137 სტაჟიორი დარეგისტრირდა თბილისის მასშტაბით გამოცხადებულ ვაკანსიებზე, ხოლო რეგიონების მასშტაბით კი – 10 სტაჟიორი.

სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით ჩატარდა სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის მიმართ დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულების კვლევა. კვლევის პროცესში გამოიკითხა 500-მდე სტუდენტი/კურსდამთავრებული და 200-მდე საჯარო დაწესებულება. გარდა ამისა, კვლევის ფარგლებში 19 საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებთან ჩატარდა 3 ფოკუსირებული დისკუსია, სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის საჭიროებებისა და გაუმჯობესების გზების იდენტიფიცირებისათვის.

2022 წლის 8 სექტემბერს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე, საკანონმდებლო დონეზე ახლებურად მოწესრიგდა საჯარო სამსახურში სტაჟირების გავლის წესი და პირობები, სტაჟიორთა შერჩევა გახდა კონკურენტული ნაცვლად დასწრების პრინციპისა, სტაჟირების პერიოდის მაქსიმალურ ვადად განისაზღვრა 12 თვე, ხოლო 2022 წლის 1 ნოემბრიდან დაწყებული სტაჟირება ჩაითვლება სამსახურის საერთო სტაჟში. აღნიშნული კი ხელს შეუწყობს ახალი უნარებისა და კომპეტენციების შემოდინებას საჯარო სამსახურის სისტემაში. ამ ეტაპზე, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ მომზადდა სტაჟირების გავლის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, რომელიც გაზიარებული საჯარო დაწესებულებებთან საბოლოო რეკომენდაციებისა და შენიშვნების წარმოსადგენად.

**პროფესიული საჯარო მოხელის მობილობა და რეზერვი.** ბიურო თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ჩართული იყო საჯარო დაწესებულებების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და სხვა დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატის შემცირებისას მოხელის მობილობის პროცესში. საანგარიშო პერიოდში 51 საჯარო დაწესებულებაში განხორციელდა რეორგანიზაცია. გარე მობილობის პროცედურის განხორციელების მიზნით საჯარო სამსახურის ბიუროში შე-



მოსულია 31 განცხადება. საჯარო დაწესებულებების მიერ მონოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით, მობილობას დაექვემდებარა 194 პირი. საანგარიშო პერიოდში, გარე მობილობის საფუძველზე, რეორგანიზაციის შედეგად გათავისუფლებული ვერც ერთი პირის მობილობა ვერ განხორციელდა. ამჟამად მოხელეთა რეზერვში ჩარიცხულია 289 მოხელე.

**სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენა.** „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლოს მიერ მოხელის თანამდებობაზე აღდგენის მოთხოვნით, საჯარო სამსახურის სისტემაში ტოლფასი თანამდებობების მოძიების მიზნით, სსიპ – საჯარო სამსახურის ბიუროში შემოსულია 7 საჯარო დაწესებულების სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული 7 მოხელის თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე. შედეგად, საჯარო დაწესებულებების მიერ გამოგზავნილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სამსახურში აღსადგენი მოხელეები ჩაირიცხნენ მოხელეთა რეზერვში და მიეცათ კანონით განსაზღვრული განაცდური ხელფასი და კომპენსაცია.

**სტრატეგიული ადამიანური რესურსების მართვა.** საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივითა და ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის მხარდაჭერით, შემუშავდა სამუშაო ძალის დაგეგმვის მეთოდოლოგიის პირველადი დოკუმენტი. აღნიშნული მეთოდოლოგიის ადაპტაციის მიზნით, მიმდინარეობს სამუშაო ძალის დაგეგმვის პროცესის პილოტირება. მიმდინარე პილოტირების პროცესის დასრულებისთანავე, შემუშავდება სამუშაო ძალის დაგეგმვის მეთოდოლოგიის საბოლოო დოკუმენტი. სამუშაო ძალის დაგეგმვის პროცესი ერთ-ერთი ფუნდამენტური რგოლია ადამიანური რესურსების მართვის ციკლში და ამდენად, ამ მიმართულებით შემუშავებული სახელმძღვანელო მნიშვნელოვნად დაეხმარება ადამიანური რესურსების მართვის საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს ადამიანური რესურსების პროცესების სტრატეგიულად დაგეგმვასა და მომავლის საჭიროებების პროგნოზირებაში.

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის მხარდაჭერით, საჯარო სამსახურის კვირეულის ფარგლებში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა, რომელიც ეძღვნებოდა ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის საკითხებს. სამუშაო შეხვედრას ესწრებოდნენ ცენტრალური საჯარო უწყებების, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიული პირების ადამიანური რესურსების მართვის საკითხებზე პასუხისმგებელი პირები. შეხვედრის ფარგლებში, პროექტის ექსპერტმა და ადგილობრივმა კონსულტანტებმა აუდიტორიას გააცნეს ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის შემუშავებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, ნაბიჯები, სტრუქტურა, ასევე, მიმოიხილეს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდებისა და ზოგადად, მონაცემებზე და მეტრიკებზე დაფუძნებული სტრატეგიის მნიშვნელობა.

საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივითა და ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის მხარდაჭერით, მომზადდა ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, კვლევის მეთოდებისა და მონაცემთა ანალიზის გზამკვლევი ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკოსებისთვის და ასევე, შემუშავდა ადამიანური რესურსების მართვის ინდიკატორების გზამკვლევი, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანური რესურსების ეფექტიან მართვას, დიაგნოსტირებას, დაგეგმვასა და პროგნოზირებას.





რეკრუტირებისა და შერჩევის პროცესის გაუმჯობესების მიზნით, ევროკავშირის ტექნიკური მხარდაჭერის პროექტის მხარდაჭერით, კომპეტენციებზე დაფუძნებული შერჩევის ნახალისებისათვის, შემუშავდა საბაზისო კომპეტენციების შეფასების, ინტერვიუს დაგეგმვისა და მართვის სახელმძღვანელო. სახელმძღვანელოში მოცემულია სამუშაო ფორმები, ჩეკლისტები და გამზადებული კითხვების ბანკი ინტერვიუს პროცესში საჯარო სამსახურის 4 ძირითადი კომპეტენციის, კეთილსინდისიერების, კომუნიკაციის, მიზანზე ორიენტირებულობისა და ანალიტიკური აზროვნების შესაფასებლად.

**მოხელეთა შეფასებისა და პროფესიული განვითარების სისტემის გაუმჯობესება მუნიციპალიტეტის ორგანოებში.**

საანგარიშო წლის მისიდან საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერითა და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) დაკვეთით, პროგრამის – „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის სამხრეთ კავკასიაში“ – ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა პროექტი „სამუშაოს შეფასებაზე დაფუძნებული თანამედროვე პროფესიული განვითარების მიდგომების დანერგვის ხელშეწყობა აჭარის, გურიის და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონების 11 მუნიციპალიტეტში“. პროექტის მიზანი იყო ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტების ცნობიერების ამაღლება შესრულებული სამუშაოს შეფასებაზე დაფუძნებული თანამედროვე პროფესიული განვითარების მიდგომებთან დაკავშირებით, ცენტრალური საჯარო უწყებების ადამიანური რესურსების მართვის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების მხრიდან გამოცდილების გაზიარება „სწავლა კეთებით“ პრინციპზე და მენტორინგის მეთოდზე დაყრდნობით. პროექტის ფარგლებში, მენტორებმა შეიმუშავეს პროფესიული განვითარების გეგმის ნიმუშები, მენტორულ სესიებზე შეგირდები გაუზიარეს რეკომენდაციები შეფასების სისტემის დახვეწისა და პროფესიულ განვითარების ციკლის ეტაპებთან დაკავშირებით. ამასთან, ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისათვის ჩაატარეს ტრენინგები პროფესიული განვითარების საკითხებზე, რათა უკეთესად იყოს აღქმული შეფასებისა და პროფესიული განვითარების პროცესებში ხელმძღვანელთა მონაწილეობის მნიშვნელობა და როლი. აღნიშნული ტრენინგების ფარგლებში გადამზადდა I და II რანგის 200-მდე მოხელე. აღსანიშნავია ასევე, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის იმ მუნიციპალიტეტების ადამიანური რესურსების მართვის საკითხებზე პასუხისმგებელ პირები, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი წინა პროექტით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებაში და ნაყოფიერად თანამშრომლობდნენ მენტორებთან, მიეცათ შესაძლებლობა მიმდინარე პროექტში მონაწილეობა მიეღოთ თანამენტორის სტატუსით და თავისი წვლილი შეიტანეს პროექტის განხორციელებაში მუნიციპალიტეტების სპეციფიკის გათვალისწინებით, კოლეგებისათვის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების გზით.

პროფესიული განვითარების სისტემის ხარისხის გაზომვის მიზნით, საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივითა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, შემუშავებული საბაზისო პროფესიული განვითარების პროგრამების მიმწოდებელი სასწავლო დანესებულებების და საბაზისო პროგრამების რეიტინგების წარმოების მეთოდოლოგიის შესაბამისად, შეგროვდა ინფორმაცია პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამებში მონაწილე მოხელეთა შესა-



ნებ. მოხელეებს დაეგზავნათ კირკპატრიკის მოდელის საფუძველზე შემუშავებული კითხვარი, რომელიც შესაძლებელს გახდის, ობიექტური და შენონილი ალგორითმის საფუძველზე, სასწავლო დაწესებულებებისა და საბაზისო პროგრამების რეიტინგის გაზომვას.

**პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების სისტემა.** საჯარო სამსახურის ბიუროსთვის წარდგენილი მონაცემების შესაბამისად, საჯარო მოხელეთა 2022 წლის შედეგები\* ნაწილდება შემდეგნაირად: საუკეთესო 64,7%, კარგი 34,7%, დამაკმაყოფილებელი 0,3%, არადამაკმაყოფილებელი 0,3%. საანგარიშო პერიოდში, საჯარო სამსახურის ბიუროს აქტიურად თანამშრომლობდა საჯარო დაწესებულებებთან და კონსულტაციას უწევდა მათ შეფასების პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე.

**პროფესიული განვითარების სისტემა საჯარო სამსახურში.** საჯარო სამსახურის ბიუროსთვის წარდგენილი მონაცემების შესაბამისად, მოხელის პროფესიული განვითარების გეგმის მიხედვით, 2022 წლისათვის 4 877 (საჯარო მოხელეთა საერთო რაოდენობის 33%) მოხელისათვის განისაზღვრა 267 პროფესიული განვითარების როგორც საბაზისო, ასევე დამატებითი პროგრამა. მათგან, პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამა დაიგეგმა 78 საჯარო დაწესებულების 1 223 მოხელისათვის. აქედან, პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი განესაზღვრა 789, ხოლო მოხელის მენეჯერული უნარების პროგრამა – 434 მოხელეს.

პროფესიული განვითარების დამატებითი პროგრამები დაიგეგმა 75 საჯარო დაწესებულების 3 654 მოხელისათვის. დამატებითი პროგრამების სტატისტიკური ანალიზისას იკვეთება 15 ყველაზე მეტად მოთხოვნილი სასწავლო თემატიკა: კომუნიკაცია, მართვა და ლიდერობა, ადამიანური რესურსების მართვა (HR), შრომის უსაფრთხოება, სამართალი, აუდიტი, ფინანსური მართვა/შესყიდვები/საბუღალტრო აღრიცხვა, ეთიკა, კეთილსინდისიერება, მხილება, კორუფციის პრევენცია, სტრატეგიული კომუნიკაციები/საზოგადოებასთან ურთიერთობა (PR), ინფრასტრუქტურა/მშენებლობა/არქიტექტურა/სივრცითი მოწყობა, საჯარო ინფორმაცია და პერსონალურ მონაცემთა დაცვა, საოფისე კომპიუტერული პროგრამები, იურიდიული, კონფლიქტების მართვა/მედიაცია/არბიტრაჟი, მუნიციპალური ქონების მართვა და ეკონომიკური საფუძვლები, ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები. აღნიშნული თემატიკის სასწავლო კურსებზე განაწილებულია საერთო ჯამში პროფესიული განვითარების 2022 წლის დამატებით პროგრამებში ჩართულ მოხელეთა 60%.

აღნიშნული პროგრამები, მიუხედავად კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვების გაუქმებისა, ხორციელდება, როგორც პირისპირ, ასევე ონლაინ/ დისტანციური ფორმატით.

საანგარიშო პერიოდში მოხელის პროფესიული განვითარების სასწავლო პროგრამა 1714 პირისათვის განხორციელდა. საბაზისო პროგრამების თითოეული კურსის მიხედვით განხორციელების მაჩვენებელი შემდეგია: პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი გაიარა 171, მოხელის მენეჯერული უნარების განვითარების პროგრამა – 72, ხოლო

\* ანგარიშში მონაცემები დამუშავებულია 2022 წლის 22 დეკემბრის მდგომარეობით.



დამატებითი პროგრამის ფარგლებში გადამზადდა 1 471 მოხელე. აღსანიშნავია, რომ განხორციელებული მოხელის საბაზისო პროგრამების 66% მოდის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე. განხორციელებული პროფესიული განვითარების დამატებითი პროგრამების შემთხვევაში, პროცენტული განაწილება შემდეგია: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები 32%, სსიპ, საქვეუწყებო დაწესებულებები – 31%, სამინისტროები და მინისტრის აპარატი – 30%.

**დისტანციური და ონლაინ სწავლების სისტემის გაუმჯობესების ხელშეწყობა.** საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივითა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, შეიქმნა მოხელეთა სწავლების ერთიანი ელექტრონული პლატფორმა Moodle-ის სისტემის ბაზაზე. ამ ეტაპზე, გრძელდება პროგრამული უზრუნველყოფის და ადამიანური რესურსების მართვის ერთიან ელექტრონულ სისტემასთან (eHRMS) ინტეგრირების ტესტირების პროცესები. ასევე, მიმდინარეობს სამუშაოები ვებგვერდის შინაარსობრივი გამართვისა და ორი ონლაინ კურსის სატესტო რეჟიმში გაშვების მიმართულებით.

ონლაინ სწავლების პლატფორმის შექმნის პარალელურად, საჯარო სამსახურის ბიურო UNDP-ის მხარდაჭერით მუშაობს ონლაინ სწავლების განხორციელების სტანდარტებზე და პროფესიული განვითარების პროგრამების მომწოდებელი სასწავლო დაწესებულებების ტრენერთა შესაძლებლობების განვითარებაზე ონლაინ სწავლების მიმართულებით. ონლაინ სწავლების სტანდარტების შემუშავების მიზნით, საანგარიშო პერიოდში ჩატარდა როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევა პროფესიული განვითარების მომწოდებელი სასწავლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან და მომზადდა სიტუაციის ანალიზის დოკუმენტი. რაც შეეხება ტრენერთა შესაძლებლობების განვითარებას, საანგარიშო პერიოდში შემუშავდა ონლაინ სწავლების ტრენინგმოდული და სილაბუსი, რომლის საფუძველზეც განხორციელდება ტრენერთა გადამზადება არამხოლოდ ონლაინ სწავლების მეთოდებსა და ტექნიკებზე, არამედ ონლაინ სასწავლო კურსების შემუშავების საკითხებზეც. ტრენერთა გადამზადება დაგეგმილია 2023 წლის იანვარში.

**მერებისა და მერის მოადგილეების ცნობიერების ამაღლება ანტიკორუფციული მექანიზმების, ლიდერობის, მენეჯმენტისა და შესრულებული სამუშაოს მართვის მიმართულებით.** საჯარო სამსახურის ბიურომ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან თანამშრომლობითა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის „დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა საქართველოში“ მხარდაჭერით გამართა შეხვედრები საქართველოს ყველა რეგიონის მუნიციპალიტეტის მერებთან და მერის მოადგილეებთან.

პროექტი მიზნად ისახავდა კეთილსინდისიერებისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმების გაძლიერებას საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე. შეხვედრისას განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ანტიკორუფციული მექანიზმები, ლიდერული და მენეჯერული უნარები, ეფექტიანობა და ანგარიშვალდებულება, შესრულებასა და შედეგზე ორიენტაცია და ახალი კომპეტენციებისა და უნარების განვითარების წახალისება, რაც საბოლოოდ განაპირობებს ღირებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას და ხელს



შეუწყობს საჯარო სამსახურის რეფორმის განხორციელებას. შეხვედრების ფარგლებში გაიმართა აქტიური დისკუსია საჯარო სამსახურის რეფორმის, ანტიკორუფციული მექანიზმების, ლიდერობისა და მენეჯმენტის, შესრულებული სამუშაოს მართვისა და მოხელეთა პროფესიული განვითარების საკითხებზე.

**HR ფორუმი.** საანგარიშო პერიოდში, საჯარო სამსახურის ბიურომ საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, HR ფორუმს უმასპინძლა. ფორუმში მონაწილეობას იღებდნენ ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის წარმომადგენლები. HR ფორუმში მიეძღვნა ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიისა და სამუშაო ძალის დაგეგმვის საკითხებს. ფორუმის ფარგლებში ევროკავშირის ტექნიკური მხარდაჭერის პროექტის ექსპერტმა მონაწილეებს გააცნო სხვადასხვა თეორიული მოდელი, ინსტრუმენტები და პრაქტიკული ინსტრუქციები. შეხვედრის ფარგლებში დისკუსია გაიმართა სტრატეგიული კომუნიკაციის საკითხებზე ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის ქრილში.

სსიპ – საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივითა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით 2 HR ფორუმი ჩატარდა ასევე დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მუნიციპალიტეტების თვითმმართველობის ორგანოებისთვის. HR ფორუმები გაიმართა პროექტის – „სამუშაოს შეფასებაზე დაფუძნებული თანამედროვე პროფესიული განვითარების მიდგომების დანერგვის ხელშეწყობა აჭარის, გურიის და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონების 11 მუნიციპალიტეტში“ – ფარგლებში და ეძღვნებოდა პროფესიული განვითარების საკითხებს. HR ფორუმების ფარგლებში, პროექტში მენტორის ასისტენტების და შეგირდების სტატუსით ჩართული სამიზნე მუნიციპალიტეტების ადამიანური რესურსების მართვის საკითხებზე პასუხისმგებელი პირები პროექტის ფარგლებში მიღებულ გამოცდილებას უზიარებდნენ კოლეგებს, საქართველოს მასშტაბით და ხაზს უსვამდნენ მოხელეთა პროფესიული განვითარების პროცესების მნიშვნელობას. გარდა ამისა, HR ფორუმების ფარგლებში, ზუგდიდისა და თელავის მუნიციპალიტეტების მერიების წარმომადგენლები კოლეგებს ესაუბრნენ პროფესიული განვითარების პროგრამების ინტერმუნიციპალური შესყიდვების პროცესებთან დაკავშირებით, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ადგილობრივ დონეზე, მოხელეთა პროფესიული განვითარების აქტივობების დაგეგმვას, ორგანიზებას და პრაქტიკაში განხორციელებას. 2023 წლისათვის დაგეგმილია მსგავსი შეხვედრების ორგანიზება სახელმწიფო რწმუნებულებისა და მათი ადმინისტრაციებისათვის, ასევე ყველა მუნიციპალიტეტის ორგანოს იურიდიული, აუდიტის, ადმინისტრაციული და ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების წარმომადგენლებისათვის.

**საერთაშორისო კონფერენცია პროფესიული განვითარების საკითხებზე.** ევროკავშირის ტექნიკური მხარდაჭერის პროექტისა და საჯარო სამსახურის ბიუროს ორგანიზებით გაიმართა კონფერენცია „საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარების მიმდინარე ტენდენციები“. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს საჯარო უწყებების HR პრაქტიკოსებმა, აკადემიური წრეების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

ღონისძიებაზე მონაწილეთა საერთაშორისო ექსპერტმა, დანიელ გერსონმა, OECD-ის საჯარო დასაქმებისა და მართვის გუნდის ხელმძღვანელმა, წარმოადგინა პროფესიული განვითარე-



ბის ტენდენციები OECD-ის ქვეყნებში. ისმავლ პენია-ლოპესმა, კატალონიის საჯარო მმართველობის სკოლის დირექტორმა (ესპანეთი), მოგვანოდა უფრო დეტალური ინფორმაცია ელექტრონულ და უწვეტ სწავლასთან დაკავშირებული კარგი პრაქტიკის შესახებ.

საერთაშორისო ექსპერტების პრეზენტაციებთან ერთად, გაიმართა ორი პანელური დისკუსია, პირველი დისკუსიის ფარგლებში საქართველოში საჯარო მოსამსახურეთა სასწავლო დაწესებულებების წარმომადგენლებმა, განიხილეს თუ როგორ შეუძლიათ ტრენინგ ცენტრებს უკეთ უპასუხონ საჯარო მოხელეთა საჭიროებებს. ხოლო მეორე პანელური დისკუსიის ფარგლებში საერთაშორისო ექსპერტებმა ისაუბრეს საჯარო დაწესებულებებში სასწავლო კულტურისა და გარემოს შექმნის საკითხებზე.





# თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების დაგეგმვისა და მონიტორინგის პროცესი

2022 წლის პირველი იანვრიდან, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია წარდგენილია 6 879 პირის მიერ. მათ შორის 1 166 ყოფილი თანამდებობის პირია, 1 471 – ქალი, 5 408 – კაცი. დეკლარაციის წარდგენისთვის განკუთვნილი ვადის დარღვევისთვის დაჯარიმების გამო, დეკლარაცია წარდგენილია 42 პირის მიერ. დეკლარაციების შევსების პროცესთან დაკავშირებით სულ დაფიქსირდა 10 613 სატელეფონო ზარი და 1 727 ონლაინ დახმარების შეტყობინება.

საჯარო სამსახურის ბიურო აქტიურად აგრძელებს მუშაობას თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარირების უზრუნველყოფის, შესაბამისი ელექტრონული სისტემის დახვეწისა და მონიტორინგის განხორციელების მიმართულებით. CSV ფორმატსა და API აპლიკაციის პროგრამირების ინტერფეისის საშუალებით დეკლარაციების მოძებნის, დამუშავებისა და ანალიზის მიზნით, მიმდინარეობს სსიპ – ციფრული მმართველობის სააგენტოსთან ერთად დაგეგმილი სამუშაოების შედეგად, განხორციელებული პროგრამული ცვლილების ტესტირების პროცესი.

„შესამოწმებელი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 თებერვლის N81 დადგენილების შესაბამისად, 2022 წლის 24 იანვარს ელექტრონული სისტემის მიერ შემთხვევითი შერჩევის პრინციპის დაცვით შერჩეულ იქნა მიმდინარე წელს შესამოწმებელი თანამდებობის პირები. კერძოდ, შერჩეულ თანამდებობის პირთა რაოდენობამ შეადგინა, 6320 – საერთო რაოდენობის 5%, სულ 316 თანამდებობის პირი. ასევე, შესამოწმებელ დეკლარანტთა სიას დაემატა 61 თანამდებობის პირი, რომლებიც სისტემაში აისახა წარმოდგენილი დასაბუთებული წერილობითი განცხადების საფუძველზე. შესაბამისად, 2022 წლის განმავლობაში შესამოწმებელი დეკლარაციების ჯამურმა ოდენობამ შეადგინა 377.

საანგარიშო პერიოდში, შესამოწმებელი თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შერჩევისათვის და-



მოუკიდებელი კომისიის შექმნის მიზნით, ბიუროს მიერ გამოცხადებულ მონვევაზე 2021 წელს სამმა არასამთავრობო ორგანიზაციამ წარმოადგინა განაცხადი, ხოლო აკადემიური წრის არცერთ წარმომადგენელს არ შემოუტანია განაცხადი, რის გამოც კომისია ვერ შეიქმნა და შესაბამისად, ბიუროს მიერ 2022 წელს თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგი განხორციელდება მხოლოდ შემთხვევითი შერჩევით და დასაბუთებული წერილობითი განცხადების საფუძველზე. შესამონმებელ თანამდებობის პირთა მონიტორინგის პროცესი, შესაბამისი გრაფიკით, გადანაწილდა თვეების მიხედვით, რომელსაც ახორციელებს დეკლარაციების მონიტორინგის დეპარტამენტის 6 თანამშრომელი. 2022 წლის განმავლობაში მიმდინარე ეტაპზე მონიტორინგის პროცესი დაწყებულია 346 თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაზე და მიღებულია შესაბამისი გადანყვეტილება.

ამასთანავე, ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით, ბიურო აქტიურად თანამშრომლობს ევროპის საბჭოს ოფისთან საქართველოში. კერძოდ, ევროკავშირის/ევროპის საბჭოს პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის პროექტის ფარგლებში, ბიურო მიზნად ისახავს თანამდებობის პირების მიერ ქონებრივი დეკლარაციების წარდგენისა და გადამოწმების საუკეთესო პრაქტიკის შესწავლას და შედეგად, რეკომენდაციების შემუშავებას სისტემის დახვეწის მიზნით. ამ პროცესში ევროპის საბჭოს მიერ დაკონტრაქტდა საერთაშორისო ექსპერტი, რომელმაც ბიუროს მიერ დაკომპლექტებულ სამუშაო ჯგუფს წარუდგინა ტექნიკური დოკუმენტი მიგნებებისა და რეკომენდაციების შესახებ.


2022 წლის 15 დეკემბერს შესამონმებელი თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შერჩევის მიზნით შეიქმნა დამოუკიდებელი კომისია, რომელიც 2023 წელს შესამონმებლად შეარჩევს თანამდებობის პირების საერთო რაოდენობის 5%. შესაბამისად, ბიუროს მიერ 2023 წელს თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგი განხორციელდება შემთხვევითი შერჩევით, დამოუკიდებელი კომისიის მიერ და დასაბუთებული წერილობითი განცხადების საფუძველზე შერჩეული თანამდებობის პირების მიმართ.

ევროკავშირის/ევროპის საბჭოს პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის პროექტის ფარგლებში, საჯარო სამსახურის ბიურომ, საერთაშორისო ექსპერტის დახმარებით, თანამდებობის პირების მიერ ქონებრივი დეკლარაციების წარდგენისა და გადამოწმების საერთაშორისო კარგი პრაქტიკის შესწავლის შედეგად, შეიმუშავა სისტემის დახვეწის ტექნიკური დოკუმენტი. ტექნიკური დოკუმენტი ყურადღებას ამახვილებს შერჩეულ გამოწვევებზე, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოში თანამდებობის პირთა მიერ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარირების სისტემის ფუნქციონირებასთან. კერძოდ დოკუმენტში მიმოხილულია შემდეგი საკითხები: შესამონმებელი დეკლარაციების შერჩევის საფუძვლები; ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოს მიერ დეკლარაციების შემოწმება კერძო წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე; ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოს მიერ დეკლარაციების შემოწმება უცხოური წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე; კრიპტო ვალუტების და სხვა ვირტუალური/კრიპტო აქტივების დამუშავება დეკლარირების სისტემებში; ქონებრივი მდგომარეობის დეკლარირების ვალდებულების გამოყენება თანამდებობის პირთა ოჯახის წევრების მიმართ; დეკლარირებული მონაცემების გასაჯაროებასთან დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვები. ტექნიკური დოკუმენტი განხილულ იქნა საჯარო სამსახურის ბიუროს თანამშრომლებისა და ევროპის საბჭოს წარმომადგენლების ჩართულობით.





# გენდერი და მრავალფეროვანი სამუშაო ძალის დაგეგმვა საჯარო სამსახურში



საანგარიშო პერიოდში, საჯარო სამსახურის ბიურომ, გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან (UN Women) თანამშრომლობით, დაასრულა მუშაობა ბიუროს გენდერული თანასწორობის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე. აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტი დამტკიცა ბიუროს უფროსის 6 ივნისის #273/სა ბრძანებით და საჯაროდ გამოქვეყნდა ბიუროს ვებგვერდზე. გენდერული თანასწორობის სტრატეგია მიზნად ისახავს გენდერულად მგრძობიარე საჯარო სამსახურის სისტემის (კანონმდებლობა, პოლიტიკა, პროგრამები) ჩამოყალიბებას, რომელიც შესაძლებელს ხდის ქალების სრულ და ეფექტიან მონაწილეობასა და ლიდერობას საჯარო სამსახურში.

აღნიშნული სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ბიურომ, გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან (UN Women) თანამშრომლობით, დაიწყო მუშაობა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის გენდერული ზეგავლენის შეფასებაზე და ასევე, ექსპერტის დახმარებით განახორციელა საჯარო სამსახურში ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის სამოდელო პოლიტიკის შექმნაზე.

გარდა ამისა, ბიურო ერთ-ერთი პირველი საჯარო უწყებაა, რომელმაც მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოსთან და გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან (UN Women) თანამშრომლობით, შეიმუშავა და დანერგა ბიუროში სექსუალური შევიწროების აღმოფხვრის შიდა მექანიზმი. წინამდებარე ინსტრუმენტის გაცნობის მიზნით, ბიუროს თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგი, რომელსაც უძღვებოდა ადგილობრივი ექსპერტი.

ბიურო აქტიურად არის ჩართული საჯარო სამსახურში მრავალფეროვანი და ინკლუზიური სამუშაო ძალის დაგეგმვის სტანდარტის შემუშავების პროცესში. აღნიშნული მიმართულებით არაერთი კვლევა და ანალიზი განხორციელდა ბიუროს მიერ, სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი პარტნიორი ორგანიზაციის მხარდაჭერით. მაგალითად, როგორებიცაა შემუშავდა მრავალ-





ფეროვანი სამუშაო ძალის დაგეგმვის სახელმძღვანელო, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის – [hr.gov.ge](http://hr.gov.ge)-ის შუამდგომლობებზე ადაპტირების კონცეფცია.

გარდა ამისა, ნიშანდობლივია, რომ ბიურომ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზების უზრუნველყოფის მიზნით, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებლად, 2022 წლის 10 თებერვალს, ბიუროს უფროსის #28/სა ბრძანებით დაამტკიცა წლიური სამოქმედო გეგმა, რომელიც სამ მსხვილ ამოცანას აერთიანებს.



# 4

## საჯარო სამსახურის ბიუროს ინსტიტუციური გაძლიერება

საანგარიშო პერიოდში, ბიურომ შეიმუშავა და დაამტკიცა 2022-2023 წლების ინსტიტუციური სამოქმედო გეგმა, რომელიც შვიდ ძირითად ამოცანას აერთიანებს. კერძოდ: საჯარო სამსახურის რეფორმის გადახედვა, საჯარო სექტორში კორუფციის პრევენციის არსებული მექანიზმების დახვეწა, მიმზიდველი საჯარო სამსახურის უზრუნველყოფა, ინოვაციური საჯარო სამსახურის ფორმირების ხელშეწყობა, საჯარო დაწესებულებებს შორის კომუნიკაციისა და კოორდინაციის ხელშეწყობა, საჯარო სამსახურში პროფესიული განვითარების სისტემის დახვეწა და ბიუროს ინსტიტუციური გაძლიერება.

სსიპ-საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ მომზადდა საჯარო სამსახურის განვითარების ხედვის დოკუმენტი, ახლებურად ჩამოყალიბდა საჯარო სამსახურის ბიუროს მისია-მიზანი და განისაზღვრა საჯარო სამსახურის განვითარების მიმართულებები მიმზიდველი, ღია, ხელმისაწვდომი და კეთილსინდისიერი საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებისათვის. აღნიშნული ხედვის დოკუმენტის საფუძველზე სსიპ-საჯარო სამსახურის ბიურო, ეროვნული ტექნიკური მხარდაჭერის პროექტთან თანამშრომლობითა და ადგილობრივი ექსპერტის ჩართულობით მუშაობს არსებული სიტუაციის ანალიზის დოკუმენტზე, რომელიც მოიცავს ასვე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების შეფასებას OECD/SIGMA-ს საჯარო მმართველობის პრინციპებთან მიმართებით. სიტუაციის ანალიზისა და კანონმდებლობის შეფასების შედეგად, მომზადდება საჯარო სამსახურის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც საფუძვლად დაედება სსიპ-საჯარო სამსახურის ბიუროს 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმას.





# საჯარო სამსახურის ბიუროს უზენაესი უფროსის უფროსის სტრატეგიის იმპლემენტაციის ხელშეწყობით

საჯარო სამსახურის ბიურომ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის UK aid-ის მხარდაჭერით, 2021 წელს დაიწყო და 2022 წლის მარტის თვეში დაასრულა პროექტი, რომლის ფარგლებში, არაერთი აქტივობა განხორციელდა. მათ შორის, რამდენიმე შესრულდა საანგარიშო პერიოდში. კერძოდ:

**საჯარო სამსახურის ბიუროს ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება.** ორგანიზაციისათვის შიდა და გარე კომუნიკაციის სტანდარტების არსებობის კრიტიკული მნიშვნელობის გათვალისწინებით, ბიუროს ძირითადი სტრატეგიული მიმართულებებისა და საქმიანობის შესაბამისად, შემუშავდა კომუნიკაციის სტანდარტი. საკომუნიკაციო სტანდარტის ფარგლებში გათვალისწინებული იქნასაჯარო მმართველობის რეფორმის არსებული საკომუნიკაციო სტრატეგია.

გარდა ამისა, საჯარო სამსახურის რეფორმის კოორდინაციის პროცესის გასაძლიერებლად, ბიუროში მონაცემთა თანმიმდევრული შეგროვებისა და ანალიზის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, პროექტის ფარგლებში მომზადდა მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზის გზამკვლევი.

**საჯარო მოხელეებთან კომუნიკაციის გაძლიერება.** საჯარო მოხელეებს შორის კომუნიკაციის გაძლიერების მიზნით, გაგრძელდა სხვადასხვა თემაზე საჯარო მოხელეთა ფორუმების ორგანიზება, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული საჯარო მოხელეები. ამ დროისათვის, ჩატარებულია 8 საჯარო მოხელეთა ფორუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1000-მდე საჯარო მოხელემ.

**ეთიკის მენტორინგი.** აღნიშნული პროექტის ფარგლებში გაგრძელდა ეთიკის მენტორინგის განხორციელება. საანგა-



რიშო პერიოდში, ჩატარდა დამატებით 5 შეხვედრა, რომელსაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შიდა აუდიტის ერთეულების 73 წარმომადგენელი ესწრებოდა. გარდა ამისა, შემუშავდა კეთილსინდისიერების ილუსტრირებული გზამკვლევი საჯარო მოხელეებისათვის.


**მართვისა და ლიდერობის შესაძლებლობების გაძლიერება საჯარო სამსახურში.** საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული პირების პროფესიონალიზმის ამაღლების მიზნით, აქტივობის ფარგლებში გაგრძელდა საჯარო სამსახურში მართვისა და ლიდერობის შესახებ ტრენინგების ჩატარება მოდული. საანგარიშო პერიოდისათვის ჩატარდა 4 პარალელური ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სამინისტროების საჯარო სამართლის იურიდიული პირების 66-მა თანამშრომელმა.

**საჯარო სამსახურში თემატური მენტორინგის პროგრამის დანერგვის ხელშეწყობა.** პროექტის ფარგლებში გაგრძელდა მენტორინგის პროგრამის განხორციელება წინა წელს შერჩეული 50 შეგირდისათვის, რომელთაც მენტორობას უწევენ გადამზადებული, გამოცდილი მენტორები საჯარო დაწესებულებებიდან. მენტორებმა წარმოადგინეს ყოველთვიური ანგარიშები მათ მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ. ასევე, საანგარიშო პერიოდში შემუშავდა ტრენინგ მოდული და მენტორინგის სახელმძღვანელო.





# საჯარო სამსახურის მოქნილობის ხელშეწყობა დიდხრობის გაძლიერებისა და ქცევითი ცვლილებების მხარდაჭერისა და ქცევითი ცვლილებების მხარდაჭერის გზით მხარდაჭერის გზით



საჯარო სამსახურის ბიურო, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და შვედეთის მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს „საჯარო სამსახურის მოქნილობის ხელშეწყობა ლიდერობის გაძლიერებისა და ქცევითი ცვლილებების მხარდაჭერის გზით“. აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- **საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციის პროფესიული განვითარების სისტემის კომპონენტის ანალიზი და განახლება პრაქტიკაში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით.** საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციის პროფესიული განვითარების კომპონენტის ანალიზის მიზანია, უკვე მიღწეული ინსტიტუციური ცვლილებების მხარდაჭერა, ეფექტური მექანიზმების პრიორიტეტიზაცია და მიზნობრივი ინტერვენციების უზრუნველყოფა. კონცეფციის განახლების პროცესი მოიცავს პროფესიული განვითარების სისტემის ანალიზს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მიმართულებით. ამ მიზნით დაქირავებულმა ორმა ადგილობრივმა ექსპერტმა შეისწავლა საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციის პროფესიული განვითარების კომპონენტს, პროფესიული განვითარების არსებული სისტემასა და შესაბამის საკანონმდებლო ბაზა. ექსპერტები გაეცნენ შესაბამის საკანონმდებლო აქტებს, გააანალიზეს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა და ჩაატარეს თვისებრივი კვლევის პროცესი, რაც, მათ შორის, მოიცავდა პროფესიული განვითარების ტრადიციული და თანამედროვე მეთოდების ეფექტიანობის შეფასებას. ექსპერტებისა და საჯარო სამსახურის ბიუროს გუნდის ჩართულობით, შემუშავდა საჯარო სამსახურში არსებული პროფესიული განვითარების მეთოდების პრაქტიკული ანალიზისა და პროფესიული განვითარების სისტემის ანალიზის დოკუმენტები. აღნიშნულ დოკუმენტებზე დაყრდნობით, შემუშავ-



დება საჯარო სამსახურში პროფესიული განვითარების სისტემის განახლებული კონცეფცია, სისტემის გაუმჯობესების შესახებ შესაბამისი რეკომენდაციებით.

**საჯარო სამსახურში მრავალფეროვანი პროფესიული განვითარების მეთოდების დანერგვა.** საჯარო სამსახურში მრავალფეროვანი პროფესიული განვითარების მეთოდების დანერგვის მიზნით, საჯარო სამსახურის ბიურო აქტიურად მუშაობს მენტორინგის ინსტრუმენტის შემდგომ განვითარებაზე. ამჯერად, მენტორინგის ინსტრუმენტის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული I და II რანგის მოხელეები. ამ ეტაპისათვის მენტორები სპეციალური კრიტერიუმების საფუძველზე შერჩეულ შეგირდებთან ერთად აქტიურად მუშაობენ მართვის პროცესში არსებულ საკითხებთან დაკავშირებით, რის შესახებაც მენტორების მხრიდან ხდება თვიური ანგარიშგება.

**საჯარო სამსახურში მართვისა და ლიდერობის უნარების გაძლიერება და საჯარო სამსახურის სისტემისა და საჯარო მოხელის როლის შესახებ სამართლებრივ და პრაქტიკულ ასპექტებზე ცნობიერების ამაღლება.** მმართველობით პოზიციებზე დასაქმებული საჯარო მოხელეების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, ჩატარდა 10 სამდღიანი ტრენინგი „საჯარო სამსახურში მართვისა და ლიდერობის შესახებ“, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა მენეჯერულ პოზიციებზე დასაქმებული 166 მოხელე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან. აქტივობის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია ცოდნის გაღრმავება საჯარო სამსახურის სისტემის და საჯარო მოხელის როლის შესახებ სამართლებრივ და პრაქტიკულ ასპექტებზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული III და IV რანგის პროფესიული საჯარო მოხელეებისთვის. ამ მიზნით, განახლდა კანონისა და კეთილსინდისიერების შესახებ არსებული ტრენინგ მოდული, შეირჩნენ და გადამზადდნენ ტრენერები და ჩატარდა 13 ორდღიანი ტრენინგი „მოხელის როლი და ღირებულებები“ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში III და IV რანგში დასაქმებული 225 საჯარო მოხელის მონაწილეობით.

**მენეჯერების პრაქტიკული სახელმძღვანელოს შემუშავება.** საჯარო სამსახურში მენეჯერების პროფესიული უნარების განვითარების მიზნით მუშავდა მენეჯერების პრაქტიკული სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავს ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორებიცაა პროექტების მართვა, ეჯაილ მმართველობა, უკუკავშირის როლი პროფესიულ განვითარებაში და ა.შ. აღნიშნული სახელმძღვანელოს შემუშავების მიზნით შეირჩა ოთხი ექსპერტი, რომელთაც თავიანთი კომპეტენციის შესაბამისად შემუშავეს და ბიუროს გუნდს წარუდგინეს სახელმძღვანელოს ცალკეული თავები. გაერთიანებული სახელმძღვანელოსთვის შემუშავდა უნიკალური ილუსტრაციები და შესაბამისი დიზაინი.

**საჯარო სამსახურში ქოუჩინგის მექანიზმის დანერგვა.** აღნიშნული აქტივობის მიზანია ქოუჩინგის კომპონენტის დანერგვა მენტორინგის პრაქტიკაში. ჩატარდა საპილოტე კვლევა, რომლის მიზანი იყო საჯარო სამსახურში მენტორინგის კომპონენტის მნიშვნელობის იდენტიფიცირება. კვლევამ აჩვენა, რომ ეფექტური მენტორინგი მოითხოვს ქოუჩინგის კომპონენტის ინტეგრირებას, რათა გაუმჯობესდეს თანამშრომლის მიერ შესრულებული სამუშაო და გაიზარდოს მისი პროდუქტიულობა. ამ მიზნით, იგეგმება ქოუჩინგის მეთოდის, როგორც მენტორუ-



ლი ინსტრუმენტის ნაწილის სიღრმისეული შესწავლა. შედეგად შემუშავდა თეორიული ჩარჩო, სასწავლო მოდული და სახელმძღვანელო. ამ ეტაპისათვის, შერჩეულმა ექსპერტმა შეიმუშავა და ბიუროს გუნდს წარუდგინა ქოუჩის დამხმარე სახელმძღვანელო. მენტორების ქოუჩინგის უნარების გაუმჯობესების მიზნით, შემუშავებული ტრენინგ-მოდულის შესაბამისად, ტრენინგმა ჩაატარა ოთხდღიანი ტრენინგი ქოუჩინგში, რომელშიც ათი მენტორი მონაწილეობდა. შედეგად, მენტორებმა გაიმჯობესეს ქოუჩინგის მეთოდების პრაქტიკაში გამოყენებისა და მენტორინგის პროცესში ინტეგრირების უნარები.

### **საჯარო სამსახურში კორიზონტალური ფუნქციების შემსრულებელ საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარება.**

საჯარო სამსახურში კორიზონტალური ფუნქციების განსაზღვრისა და ამ ფუნქციების შემსრულებელ საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების მიზნით შეირჩა უცხოელი ექსპერტი, რომელმაც მოამზადა პირველადი ანგარიში. დოკუმენტი ემსახურება პოტენციური კორიზონტალური ფუნქციების იდენტიფიცირებას, რომლებისთვისაც შეიძლება შემუშავდეს საერთო სტანდარტები და პროცედურები, ასევე, ახდენს კორიზონტალური ფუნქციების შესრულებაში ჩართული საჯარო მოსამსახურეების კომპეტენციისა და შესაბამისი მოთხოვნების იდენტიფიცირებას და გვთავაზობს კორიზონტალური ფუნქციების პოტენციური ინსტიტუციური მოწყობის გზებს.

**საჯარო სამსახურში კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამა.** საჯარო სამსახურში კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით, თავდაპირველად, საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა საქართველოს სამინისტროების, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, საქართველოს პარლამენტისა და სასამართლოების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების თანამშრომლების ჩართულობით. აღნიშნული დაწესებულებებიდან მონაწილეების შესარჩევად შემუშავდა სპეციალური კრიტერიუმები, რის საფუძველზეც მოხდა შემოსული განაცხადების შეფასება და გამოვლინდა 24 მონაწილე. პროგრამის ფარგლებში, გაიმართა 10 შეხვედრა კეთილსინდისიერებასა და ეთიკურ სტანდარტებთან დაკავშირებული თეორიებისა და ცნებების შესახებ. გადამზადებული პირების მიერ ცოდნის გადაცემის პროცესის უზრუნველყოფის მიზნით გათვალისწინებულია კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამის მონაწილეების მიერ ცოდნის გაზიარების შეხვედრების გამართვა თავიანთ უწყებებში. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში, პროგრამის 6 მონაწილე, კეთილსინდისიერების პროგრამის ექსპერტების მხარდაჭერით მოამზადებს და დამსაქმებელ უწყებაში ჩაატარებს შეხვედრებს პროგრამის ფარგლებში გავლილ თემატიკასთან დაკავშირებით.

### **ეთიკის ელექტრონული კურსის (ETHICS.GOV.GE) განახლება.**

საჯარო სამსახურის ბიურო მუშაობს ეთიკის ელექტრონული კურსის (ethics.gov.ge) განახლებაზე, რომელიც მიზნად ისახავს საჯარო სამსახურში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების შესახებ ცოდნის ამაღლებას, მისი გამოყენების ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობასა და საჯარო მოსამსახურეებში ეთიკური გარემოსა და კეთილსინდისიერების მნიშვნელობის წახალისებას, ასევე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროფესიული სტანდარტებისა და კორუფციის პრევენციის მექანიზმების შესახებ ცნობიერების ამაღლებას.



ამ მიზნით, შემუშავდა და ეთიკის ელექტრონული სწავლების პლატფორმას დაემატა ახალი მოდული კეთილსინდისიერების შესახებ. ელექტრონული კურსის ტექნიკურად გასამართად დაქირავდა პროგრამისტი. ასევე, დაიგეგმება ეთიკის ელექტრონული კურსის შესახებ საჯარო მოხელეთა ცნობიერების ამაღლების კამპანია. შემუშავდა ცნობიერების ამაღლების გეგმა და შეირჩა დიზაინერი ცნობიერების ამაღლების მასალების შემუშავებისთვის. არსებული ხარვეზების იდენტიფიცირების, კურსის სამომავლო გაუმჯობესებისა და საჭიროებების გამოვლენის მიზნი ჩატარდა 2 ფოკუს ჯგუფის შეხვედრა კეთილსინდისიერების პროგრამის მონაწილეებისა და ექსპერტების ჩართულობით.

**მხილების მექანიზმის კვლევა დისციპლინარული წარმოებისა და ადმინისტრაციული წარმოების დებულებების ქრილში.** აქტივობის განხორციელების მიზნით, შეირჩა ადგილობრივი ექსპერტი, რომელმაც გააანალიზა მხილების ინსტრუმენტის თეორიული ჩარჩო და საჯარო სამსახურში მხილების გამოყენების პრაქტიკა დისციპლინურ და სხვა ადმინისტრაციულ წარმოებებთან მიმართებით. ექსპერტმა ასევე მიმოიხილა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა და ჩაატარა ფოკუსირებული დისკუსიები შესაბამისი საჯარო დაწესებულების წარმომადგენლების ჩართულობით. პროცესში ჩართულ მხარდამჭერ ექსპერტთან ერთად შეიმუშავდა შესაბამისი ანალიტიკური დოკუმენტი მხილებისა და სხვა ადმინისტრაციული წარმოებების პროცედურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის, რომელიც განსახილველად წარედგინა ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებს.

